

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



დამტკიცებულია დირექტორის 2015  
წლის 31 აგვისტოს ბრძანებით N04-39  
დანართი N6

**ცვლილება:**

2017 წლის 4 სექტემბრის ბრძანება  
N04-68 დანართი N1

2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანება  
N04-84 დანართი N1

2017 წლის ნოემბრის ბრძანება N04-  
101 დანართი 2

2017 წლის 24 ნოემბრის ბრძანება  
N04-109

პროფესიული პროგრამა: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

▲ მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

☎ 577 21 50 90

✉ [tmkcommunitycollege@gmail.com](mailto:tmkcommunitycollege@gmail.com)

მცხეთა 2017

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

- I. **სახელწოდება:** სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 07201-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
  - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
  - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიებში დარგის სპეციალისტად.
- VII. **მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტანსაცმლის კერვას. კერვისათვის საჭირო ესკიზის შექმნას, მასალების ხელსაწყოების საკერავი მანქანებისა და თბურ- დანამვითი მოწყობილობების შერჩევა/გამოყენებას, ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ დამუშავებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სპეციალისტი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.
- VIII. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

  - სამუშაო ადგილის ორგანიზება
  - სხვადასხვა ტანსაცმლის ესკიზის შექმნა
  - ქალის კაბის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
  - მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
  - ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ორ არჩევით მოდულს.
- X. **სტრუქტურა და მოდულები:**

| სავალდებულო ზოგადი მოდულები  |         | სავალდებულო პროფესიული მოდულები   |         | არჩევითი მოდული/მოდულები               |         |
|------------------------------|---------|---|---------|--|---------|
| დასახელება                   | კრედიტი | დასახელება  | კრედიტი | დასახელება                             | კრედიტი |
| ინფორმაციული წიგნიერება 1    | 3       | გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი                            | 2       | საწოლისა და სუფრის თეთრეულის დამზადება | 4       |
| რაოდენობრივი წიგნიერება      | 2       | საწარმოო პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი                             | 8       | სამოსის აქსესუარების კერვა             | 4       |
| ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3       | პრაქტიკული პროექტი-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი                            | 5       |  |         |
| მეწარმეობა 1                 | 2       | სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ფურნიტურა          | 2       |  |         |
| უცხოური ენა                  | 4       | სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი მოწყობილობები                          | 2       |  |         |
| სამოქალაქო განათლება         | 2       | ტანსაცმლის დეტალების შეერთების მეთოდები                                       | 2       |  |         |
|                              |         | სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება | 3       |  |         |
|                              |         | მოსამზადებელ და საგამომკრელო უბნებზე ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა        | 2       |  |         |

|  |  |  |   |  |  |
|--|--|--|---|--|--|
|  |  | ტანსაცმლის<br>სხვადასხვა<br>მოდელის<br>ესკიზის შექმნა  | 4 |  |  |
|  |  | ქალის სათავიანი<br>ნაწარმის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება<br>(ქვედა-კაბა,<br>შარვალი) | 3 |  |  |
|  |  | ქალის მსუბუქი<br>კაბის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება                                  | 3 |  |  |
|  |  | ქალის ჟაკეტის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება   | 3 |  |  |
|  |  | ქალის კოფტის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება  | 3 |  |  |
|  |  | მამაკაცის ზედა<br>პერანგის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება                              | 3 |  |  |
|  |  | მამაკაცის<br>შარვლის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება                                    | 3 |  |  |
|  |  | მამაკაცის<br>პიჯაკის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება                                    | 5 |  |  |
|  |  | ბავშვის კაბის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება   | 2 |  |  |
|  |  | ბავშვის<br>შარვლისა და<br>კომბინიზონის<br>კონსტრუქციულ-<br>ტექნოლოგიური<br>დამუშავება                  | 2 |  |  |
|  |  | ბავშვის<br>ქურთუკის<br>კონსტრუქციულ-   | 3 |  |  |

|      |    |                            |    |      |   |
|------|----|----------------------------|----|------|---|
|      |    | ტექნოლოგიური<br>დამუშავება |    |      |   |
| სულ: | 16 | სულ:                       | 60 | სულ: | 8 |

**XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**XIV. კოლეჯის პარტნიორები:**

- შპს კუწურიე ი.მ.ს.
- შპს სამკერვალო მაუდი
- შპს ჰასკო +
- შპს უნიფორმა და უსაფრთხოება

**XV. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება**

მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით

#### **XVI. პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რ-ნის სოფ. წინამძღვრიანთკარში

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროგრამისთვის გამოყენებულია:

სასწავლო აუდიტორია - ოთახი N301 და სამკერვალო სახელოსნო-ოთახი N313

#### **XVII. პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 64 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 74 სასწავლო კვირა

#### **პროგრამის დანართები:**

დანართი 1 -სასწავლო გეგმა

დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 3 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4 - მოდული რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5 - მოდული ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 6 - მოდული მეწარმეობა 1

დანართი 7 - მოდული უცხოური ენა

დანართი 8 - მოდული სამოქალაქო განათლება

დანართი 9 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

დანართი 10 - მოდული საწარმოო პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

დანართი 11 - მოდული პრაქტიკული პროექტი-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

დანართი 12 - მოდული სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ფურნიტურა

დანართი 13 - მოდული სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი მოწყობილობები

დანართი 14 - მოდული ტანსაცმლის დეტალების შეერთების მეთოდები

დანართი 15 - მოდული სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 16 - მოდული მოსამზადებელ და საგამომჭრელო უბნებზე ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა

დანართი 17 - მოდული ტანსაცმლის სხვადასხვა მოდელის ესკიზის შექმნა

დანართი 18 - მოდული ქალის სათავიანი ნაწარმის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება (ქვედა-კაბა, შარვალი)

დანართი 19 - მოდული ქალის მსუბუქი კაბის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 20 - მოდული ქალის ჟაკეტის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 21 - მოდული ქალის კოფტის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 22 - მოდული მამაკაცის ზედა პერანგის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 23 - მოდული მამაკაცის შარვლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 24 - მოდული მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 25 - მოდული ბავშვის კაბის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 26 - მოდული ბავშვის შარვლისა და კომბინიზონის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 27 - მოდული ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება

დანართი 28 - მოდული საწოლისა და სუფრის თეთრეულის დამზადება

დანართი 29 - მოდული სამოსის აქსესუარების კერვა

დანართი 30 - მოდული ქართული ენა A2